პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 136 (3620)

13 1968 წ. ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ფინალშიც საუცხოოდ!

მესინა, 11 ივლისი. როგორც ცნობილია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა — სსრ კავშირის კალათბურთელმა ქალიშვილებმა საუცხოოდ ჩაატარეს იტალიაში მიმდინარე ევროპული ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები. ამის შემდეგ აქ დაიწყო 7 უძლიერესი გუნდის ფინალური ტურნირი. საბჭოთა ნაკრებმა ტრადიციას არ უღალატა და პირველ დღეს ფარ-ხმალი დააყრევინა ბულგარეთის კოლექტივს — 81:37.

ამ დღეს კიდევ 2 შეხვედრა გაიმართა. მასპინძლებმა — იტალიელმა კალათბურთელებმა სძლიეს ბელგიელებს (61:36), ხოლო იუგოსლავიის ნაკრებმა — პოლონელებს — 59:47.

ფინალური ტურნირის მეორე დღეს საბჭოთა სპორტსმენები ისვენებდნენ. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი — ბელგია 61:30, გდრ — იტალია 54:43, იუგოსლავია — ბულგარეთი 54:44.

## ბოლო შეხვედრა დასრულდა ასე...

მესინა, 12 ივლისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ლიდერობა იგდო ხელთ: მეორე ფინალურ მატჩში თოლიად დაამარცხა აქამდე დაუმარცხებელი იუგოსლაველები — 84:51 (46:31).

ტურნირის მესამე დღეს გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ბულგარეთი — ბელგია 65:43, პოლონეთი — გდრ 58:50.

## გრენობლის პრიზიორი — ჩეგეტის გმირი

იალბუზის მახლობლად ჩეგეტის ფერდობებზე, დათვების ხეობის ყინვართან, ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მაღლა გამართულ ტრასებზე დაიწყო სამთომთხილამურეთა III საერთაშორისო საზაფხულო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, ავსტრიისა და სსრ კავშირის საუკეთესო სპორტსმენები, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის იმ ქალაქებისა და რესპუბლიკების გუნდები, სადაც ეს სახეობა სათანადოდაა განვითარებული. ასპარეზობაში, ცხადია, საქართველოს კოლექტივიც გამოდის.

პირველ დღეს საკმაოდ ცხელოდა. თერმომეტრი ჩრდილში 27 გრადუსს აჩვენებდა, მაგრამ პაპანაქებამ მაღალ შედეგებს ხელი ვერ შეუშალა. გიგანტურ სლალომში ტურნირი საერთაშორისო წესების მიხედვით გაიმართა. გამარჯვებული მხოლოდ ორი ცდის ჯამით ვლინდება. პირველი ცდის 870-მეტრიან (სიმაღლეთა სხვაობა 306 მ) ტრასაზე 45 კარი იდგა, სტარტზე კი 83 სპორტსმენმა მოიყარა თავი.

ჩეხოსლოვაკიელმა ი. გაშტამ 1.05,2 აჩვენა, რაც სხვებისთვის ორიენტირად იქცა. ეს შედეგი რამდენიმე სპორტსმენმა გააუმჯობესა, მაგრამ ყველას აჯობა გრენობლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა გიგანტურ სლალომში ჰ. მესნერმა (ავსტრია) — 1.00,5. ამ სახეობაში სსრ კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი ვ. მარკინი შუა დისტანციამდე კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ დაეცა. მისი ბედი გაიზიარეს საკავშირო ჩემპიონატის ოქროს 4 მედლის მფლობელმა ვ. მელნიკოვმა და კიდევ 22 მონაწილემ. II ადგილი წილად ხვდა გრენობლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს სპეციალურ სლალომში ჰ. ჰუბერს (ავსტრია), რომელმაც გამარჯვებულთან 1,2 წამით წააგო. III ადგილზე გავიდა პოლონელი რ. ცვიკლა — 1.03,3. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ტ. მონასტიროვი (V ადგილი, 1.04,8).

მაგრამ ეს ავსტრიელი სპორტსმენის უკანასკნელი წარმატება არ ყოფილა. სპეციალურ სლალომში (480 მ, სიმაღლეთა სხვაობა 150 მ, 52 კარი) მან ორი ცდის ჯამში 1.27,0 აჩვენა. II ადგილზე გასულმა კიროვსკელმა სპორტის ოსტატმა ვ. მელნიკოვმა საამისოდ 1,5 წამით მეტი დრო დახარჯა.

სპეციალურ სლალომში ტურნირი რთულ ბუნებრივ პირობებში ტარდებოდა: ციოდა, ძლიერი ქარი ქროდა, თოვდა. სრიალიც საგრძნობლად გაუარესდა.

## ახალი ამბები

● კორჩულა (იუგოსლავია), 11 ივლისი. ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა აქ გამართული ტურნირი ყველაზე წარმომადგენლობითი იყო. ხალიჩაზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ათლეტები: მათ ყველა წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს. მსოფლიოს ჩემპიონებს — როსტოველებს ვ. ბაკულინსა და ნ. იაკოვენკოს ბადალი არ ჰყავდათ შესაბამისად უმჩატეს და ქვემძიმე წონებში. ორი ციმბირელი ათლეტი — მსოფლიო ჩემპიონი ვ. იგუმენოვი (ომსკი) და ვ. ოლეინიკი (კემეროვო) საუკეთესონი იყვნენ ქვესაშუალო და საშუალო წონით კატეგორიებში. ტაშკენტელმა რ. კაზაკოვმა იმარჯვა ქვემსუბუქ წონაში — მსოფლიო ჩემპიონს, რუმინელ ი. ბაჩუს აჯობა. დანარჩენ წონით კატეგორიებში საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდნენ: „კოლმეურნის" წარმომადგენელი, მსოფლიოს ჩემპიონი რ. რურუა, გ. საპუნოვი (მოსკოვის ოლქი) და ლენინგრადელი ა. როშჩინი.

● როსტოკი, 11 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების იუნიორ მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება „ოლიმპიური იმედების" პრიზზე გდრ-ის ამ ქალაქში დაიწყო. წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში სსრ კავშირის ჭაბუკთა ახალი რეკორდით გაიმარჯვა 16 წლის ლ. დობროსკოკინმა (ვოლჟსკი) — 2.14,5. ორი წარმატება იზეიმა კრამატორსკელმა ვალენტინ პარტიკამ: 100 მეტრზე დელფინის სტილით (1.01,0) და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.19,5. 100 მეტრზე ბრასით საუკეთესო იყო ვორონეჟელი ს. ჩობოროვი — 1.13,5, ხოლო ა. სამსონოვს (მოსკოვის ოლქი) ტოლი არ ჰყავდა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.21,7. გოგონებში საუცხოოდ იასპარეზეს ვილნიუსელმა გ. ბურკაუსკაიტემ (100 მ ბრასით — 1.18,4), 13 წლის თბილისელმა თ. ლეკვეიშვილმა (200 მ გულაღმა — 2.35,2) და კიეველმა ე. კონდაკოვამ (100 მ დელფინით — 1.10,8).

● კიოლნი, 11 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 1500 მეტრზე გარბენი წლევანდელ მსოფლიო სეზონში ყველაზე უფრო „სწრაფი" გამოდგა: წვიმით დამბალ ბილიკზე ევროპის ჩემპიონმა ბ. ტიუმლერმა (გფრ) ეს მანძილი 3 წუთსა და 36,5 წამში გაირბინა და მხოლოდ 0,2 წამი დააკლდა 2 წლის წინათ მ. ჟაზის (საფრანგეთი) მიერ დამყარებულ ევროპულ რეკორდამდე. ფინიშთან მეორე იყო ა. დე ერტოგი (3.37,1), რომელმაც ბელგიის ახალი რეკორდი დაამყარა. მეექვსე მორბენლის რ. სიმონის (ბელგია) დრო 3.39,4. დანარჩენი შედეგები უარესი იყო. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: 400 მ თარჯრბენი — გ. ჰენიგი (გფრ) — 50,0; 400 მ — ლ. ევანსი (აშშ) — 46,1; 200 მ — ჯ. კარლოსი (აშშ) — 20,7; 800 მ ქალებში — მ. დომერსი (ჰოლანდია) — 2.04,3.

● ოსლო, 11 ივლისი. მსოფლიოს რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა რ. კლარკმა „ბიშლეტის" სტადიონზე 5000 მეტრზე რბენაში დაამარცხა ცნობილი კენიელი მძლეოსანი კ. კეინო. გამარჯვებულის დრო 13.33,6. ბოლო სწორზე კეინო, რომელიც დიდხანს ლიდერობდა, იაპონელმა კ. სავაკიმაც ჩამოიტოვა — 13.41,8. კეინოს დრო 13.43,4. კენიელის წარუმატებლობას ექიმები იმით ხსნიან, რომ მან ძალიან სწრაფად შეიცვალა თავისი მაღალმთიანი სამშობლოს ჰავა ნორვეგიულზე — ნაირობელი პოლისმენი შეჯიბრებაზე პირდაპირ აეროდრომიდან მოვიდა. სამაგიეროდ, მეორე აფრიკელმა მორბენალმა იზეიმა გამარჯვება: კენიის თანამემამულე ბ. კოგომ ყველას აჯობა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 8.47,8.

● დუბლინი, 11 ივლისი. წლევანდელ მსოფლიო სეზონში არაევროპელ სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგს უროს ტყორცნაში აქ მიაღწია იაპონელმა ტ. სუგავარამ — 68,94 მ. ეს იაპონიის ახალი რეკორდია და თითქმის 1 მეტრით სჯობს სუგავარას მიერ ამ რამდენიმე დღის წინათ ჰელსინკში ნაჩვენებ შედეგს.

## თინა ლეკვეიშვილის რეკორდი

◆ როსტოკი, 12 ივლისი. „ოლიმპიური იმედების" პრიზზე აქ მიმდინარე ასპარეზობის მეორე დღეს საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებულმა თინა ლეკვეიშვილმა — 1.10,9. საბჭოთა სპორტსმენებმა 9 გაცურვიდან ოთხში იმარჯვეს. თბილისელი გოგონას გარდა ესენი არიან: ა. სამსონოვი (200 მ თავისუფალი სტილით — 2.04,8), გ. დავიდოვი (100 მ გულაღმა — 1.02,5), ვალენტინა ბურკაუსკაიტე (200 მ ბრასით — 2.51,3). 200 მეტრზე ბრასით მ. ვასილენკომ V ადგილი დაიკავა. ამ სახეობაში ყველას აჯობა ბ. ტიურპემ (გდრ) — 2.36,0.

## უიღბლოდ



დნეპროპეტროვსკი, 12 ივლისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოზარდთა ზაფხულის I საკავშირო თამაშების პროგრამით მოსპარეზე მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებს ბედი არ სწყალობთ. ქვეჯგუფში მათ მხოლოდ III ადგილი დაიკავეს და VII-XII ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში მოხვდნენ. ბოლო ტურის წინ ლატვიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს 17-17 ქულა აქვთ და VII-VIII ადგილებს იყოფენ. ჩვენები ბოლო მატჩს დღეს სომხეთის გუნდთან გამართავენ. IX ადგილზეა მოლდავეთი (16,5 ქულა), X-XI — ლიტვა და სომხეთი (15,5-15,5), XII — ყაზახეთი (14,5).

პირველ ექვსეულში ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: I. მოსკოვი (19,5 ქულა), II—რსფსრ (17,5), III — უკრაინა (16,5), IV-V. უზბეკეთი, ლენინგრადი (15-15), VI. ბელორუსია (12,5).

ღ. ალხანიშვილი.

## თამაში განუახლებლად

მოსკოვი, 11 ივლისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — მ. ტალისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის დაუმთავრებელ, VIII პარტიაში მეტოქეებს თამაში არ განუახლებიათ: საშინაო ანალიზმა ცხადყო, რომ კორჩნოის მოგებისთვის საკმარისი რესურსები არ გააჩნდა.

მატჩის ანგარიში გახდა 4,5:3,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

## 3,5:0,5

მალმე, 11 ივლისი. მეორე ნახევარფინალურ მატჩში ბ. სპასკისა და ბ. ლარსენს შორის ანგარიში გახდა 3,5:0,5 სპასკის სასარგებლოდ. ორივე გადადებული პარტია დღეს დამთავრდა. ერთში სპასკიმ კარგად გამოიყენა თავისი საგრძნობი უპირატესობა და გაიმარჯვა, ხოლო მეორეში, მიუხედავად იმისა, რომ პაიკი აკლდა, ყაიმს მიაღწია.



სურათზე: ბ. სპასკი (მარცხნივ) და ბ. ლარსენი თამაშის დროს.
ტელეფოტო პრესის ბიუ—ასოციაცია.

## ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში

### ახალი ბაზა

ალმა-ათა, 10 ივლისი. ყაზახეთისა და ციმბირის მოცურავეთა საპატიო შეხვედრით გაიხსნა 50-მეტრიანი საცურაო აუზი (2 ათასი ადგილი), რომელიც პირველია ამ რესპუბლიკის დედაქალაქში. გარდა მთავარი აუზისა (8 ბილიკი), ახალ ბაზას აქვს კიდევ ორი — წყალში მხტომელებისა და ნორჩი მოცურავეებისთვის. წყალი ყველა აუზში თბება.

### საკოლმეურნეო „სამწლედის" სპორტული პირმშო

კიროვოგრადი, 11 ივლისი. სპორტსაზოგადოება „კოლხოზნიკის" ნოვო-მირგოროდსკის სტადიონის ლამაზად გაფორმებულ შესასვლელში მიმსვლელის ყურადღებას იქცევს წარწერა: „აგებულია ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად". მშენებლებმა ფიზკულტურელებს საზეიმოდ გადასცეს ახალი სტადიონი — კოხტა თანამედროვე ნაგებობა, რომელიც 5 ათასი მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული. კოლმეურნეთა ახალ სტადიონს აქვს ფეხბურთის მინდორი, 400-მეტრიანი წრიოვანი სარბენი ბილიკი, მძლეოსნური სექტორები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

შეიძლება ითქვას, რომ სტადიონი სარეკორდო დროში აშენდა. ყველა სამუშაოს უნარიანად ხელმძღვანელობდა აქ შექმნილი მშენებლობის საკოლმეურნეოთაშორისო საბჭო.

წლეულს მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოების სესიამ დაამუშავა და დაამტკიცა სოფლად სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის სამწლიანი გეგმები. სულ სამწლედში კიროვოგრადის ოლქში აიგება 48 სტადიონი (102 ათასი მაყურებლისთვის), 26 სპორტდარბაზი, 3 საწყლოსნო სადგური.

## უკანასკნელ საათს

◆ მოსკოვი, 12 ივლისი. ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში ოქროს პირველი მედლის მფლობელი გახდა ადგილობრივი მხედარი ი. კალიტა, რომელმაც მოიგო მციერე პრიზი გახედნაში. ცხენოსნობის 12 სახეობაში 150-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობს.

## ჭეშმარიტად დიდოსტატური ტურნირი

სარაევო, 11 ივლისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში დაწყებული ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი — „სოლიდარობის შეხვედრა" ჭეშმარიტად დიდოსტატურია — მასში 11 დიდოსტატი მონაწილეობს: გელერი და პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), პორტიში (უნგრეთი), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ულმანი (გდრ), გეორგიუ (რუმინეთი), გლიგორიჩი, მატანოვიჩი, მატულოვიჩი, პარმა და იანოშევიჩი (იუგოსლავია). მათ გარდა თამაშობენ 5 საერთაშორისო ოსტატი (მათ შორის, საბჭოთა მოჭადრაკე სავონი), 1 ოსტატი და 3 ოსტატობის კანდიდატი.

I ტურში სავონმა დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი მინიჩი (იუგოსლავია). გელერს ჰორტთან გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი აქვს. ასევე ზედმეტი პაიკით გადადო პარტია პორტიშმა პოლუგაევსკისთან, მაგრამ ამ უპირატესობის განაღდება ძალზე გაჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუსისი — მსოფლიო რეკორდსმენი

**29** წლის რიგელი ლეიტენანტის იანის ლუსისის შუბი 91 მეტრსა და 98 სანტიმეტრზე გაფრინდა. ეს უკვე მესამე მსოფლიო რეკორდია, რომელიც საბჭოთა მძლეოსნებმა ოლიმპიურ სეზონში დაამყარეს. ცოტა ადრე ასეთივე წარმატებას მიაღწიეს ნადეჟდა ჩიჟოვამ — ბირთვის კვრაში და ვერა კორსაკოვამ — 80 მეტრზე თარჯრბენში. ორივე სპორტსმენმა გააუმჯობესა თანამემამულეების — თამარ და ირინა პრესების მიღწევები. ამ მხრივ სპორტის საბჭოთა მოყვარულებს ლუსისმა უფრო ასიამოვნა. ფინეთის ქალაქ საარიიარვის პატარა სტადიონზე მან 26 სანტიმეტრით გააუმჯობესა ნორვეგიის ჩემპიონის ტერიე პედერსენის მიღწევა და საბჭოთა მძლეოსნებს შუბის ტყორცნაში პირველად მოუტანა მსოფლიო რეკორდი.

პედერსენისა და ლუსისის გარდა მსოფლიოში ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ გადააცილა შუბი 90 მეტრს. ნორვეგიელმა 4 წლის წინ მოიხვეჭა მსოფლიო რეკორდსმენის სახელი, მაგრამ შემდეგ თავის მიღწევას ვერც კი მიუახლოვდა. ევროპის ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ლუსისი კი შვიდი წლის მანძილზე ადასტურებდა თავის ოსტატობას, როგორც წმინდა სპორტული, ისე სატურნირო მიღწევებით. რიგელი ათლეტი აღიარებულია მსოფლიოს შუბის მტყორცნელთა ერთ-ერთ ლიდერად, რომელიც ყველა სხვა სპორტსმენზე ხშირად (შეიძლება გამონაკლისი იყოს პოლონელი ი. სიდლო) სძლევდა 80-მეტრიან ზღვარს. მისი, როგორც დაუმარცხებელი მებრძოლის, რეპუტაცია იმდენად მტკიცე იყო, რომ მესამე საპატიო ადგილი, რომელიც მან ტოკიოს ოლიმპიადაში მოიპოვა, სპორტულმა მიმომხილველებმა შემთხვევითობით ახსნეს.

ლუსისი ხსვებზე უკეთ მიხვდა ოლიმპიური ტურნირის წაგების მიზეზს. მაშინ მან ასე ახსნა წარუმატებლობა.

— 1963 წლის ზაფხულში მარჯვენა ფეხი დავიზიანე, ნატკენი ქუსლი ფინალური მოძრაობის ეფექტურად შესრულებას მიშლიდა და, ცხადია, ტექნიკაში შეცდომები გაჩნდა. ზამთარში, ტოკიოს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში ჩვეულებისამებრ ძირითადად ფიზიკურ მომზადებაში ვვარჯიშობდი. ზაფხულში კი შეჯიბრებები დაიწყო და ტექნიკის სრულყოფა ველარ მოვასწარი.

ლუსისმა მუდამ იცოდა, რატომ იგებს, უკეთ ესმოდა იშვიათი მარცხის მიზეზებიც. იგი არ ცნობს სატურნირო შემთხვევითობას. თავის თავში დაჯერებულ სპორტსმენს არ ეშინია მეტოქეებისა, რაც უნდა კარგად იყვნენ ისინი მომზადებული. ლუსისი მეტოქეებს კი არ ებრძვის, არამედ სარეკორდო ციფრებს. ყოველ შეჯიბრებაში იგი ცდილობს აჩვენოს სწორედ ის შედეგი, რომლისთვისაც ამ დღესაა მზად და ხშირად მიზანსაც აღწევს.

44,52 მეტრი. ასეთი გახლდათ ლუსისის მიერ 10 წლის წინათ შუბის ტყორცნაში შესრულებული პირველი ცდის შედეგი. ამ დასაწყისსა (რომელიც ტაშს არ იმსახურებდა) და ლუსისის დღევანდელ რეკორდს შორის 10 წლის გზა, 50 მეტრის სიგრძის გზა ძევს — სპორტსმენისთვის უდიდესი მნიშვნელობის მონაკვეთი.

1957 წელს, როცა მშობლიური სოფლიდან (პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა რიგიდან 110 კილომეტრითაა დაშორებული) ლატვიის დედაქალაქში ფიზკულტურის ინსტიტუტში მოწყობაზე ოცნებით შეპყრობილი ჩამოვიდა ლუსისი, წარმოსადეგობით ყურადღებას ვერ მიიქცევდა (სიმაღლე — 175 სმ, წონა — 68 კგ) და სულაც არ გვპირდებოდა შუბის ტყორცნაში ჩემპიონობას.

დღეს ლუსისი ბრგე, ახოვანი ვაჟკაცია — ტანად 180 სანტიმეტრი, წონით — 90 კილოგრამი, რელიეფური მუსკულატურით, სწრაფი და მოძრაობაში მკვეთრი. ასეთ საოცარ ფიზიკურ სრულყოფას ლუსისმა კუნთების სპეციალური განვითარებით (როგორც ამას კულტურისტები აკეთებენ) კი არ მიაღწია, არამედ დარბაზში და სტადიონზე მუდმივი ვარჯიშით.

ლუსისი თანამედროვე ფორმაციის მძლეოსანია (ამ სიტყვის სრული გაგებით). იგი თავისი ვიწრო დისციპლინის ჩარჩოებით როდი იფარგლება: კარგად იცნობს სამხტომს — აქედან დაიწყო სპორტში მისი გზა; რამდენიმე წელიწადს მრავალჭიდელთა ჯგუფში ვარჯიშობდა. 1961 წელს ლუსისმა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა არა შუბის ტყორცნაში, არამედ ათჭიდში. იანისი ხშირად დადის საწონებიან დარბაზში, საწვრთნელ მეცადინეობაზე ტონობით რკინას ეზიდება, ვარჯიშობს კროსში, ტანვარჯიშში.

დიდი დღე უწერია თუ არა ახალ რეკორდს? ერთი შეხედვით, მსოფლიოში ახლა არ არის მტყორცნელი, რომელიც სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს რეკორდსმენს. მაგრამ ლუსისმა შესანიშნავად იცის, რომ მეხიკოს ოლიმპიურ ტურნირში წარმატება იოლი არ იქნება. ფინეთის, უნგრეთის, პოლონეთის რამდენიმე შუბის მტყორცნელი უკვე სძლევს 85-87 მეტრს, ეს კი ნიშნავს, რომ მათ ყოველთვის შეუძლიათ ლიდერთან ბრძოლა.

ლუსისისთვის წარუმატებლობა გაკვეთილია. იგი მექსიკის თამაშებისთვის დაფიქრებით და გეგმაზომიერად ემზადება, სულაც არ სურს ტოკიოს შეცდომები გაიმეოროს.

ამ სეზონში მძლეოსნებმა მსოფლიოს რეკორდებზე ისეთი ენერგიული იერიში მიიტანეს, რომლის მსგავსი არ მახსოვს. ამერიკელთა ტრიომ საერთო ძალით დაამხო „მუდმივი რეკორდი" 100 მეტრზე რბენაში. ფინელ პოუსის სამხტომში სულ ცოტა დააკლდა რეკორდამდე. ბიმონი ყოველი ახალი სტარტით უფრო და უფრო რეალურად ემუქრება რალფ ბოსტონისა და იგორ ტერ-ოვანესიანის მიღწევას სიგრძეზე ხტომაში. ოლიმპიადის სუნთქვა თავის ანაბეჭდს ტოვებს სპორტსმენთა საბრძოლო განწყობაზე.

გამოთქვამენ აზრს, თითქოს ნაადრევად ნაჩვენებმა მაღალმა შედეგებმა შეიძლება ვადაზე ადრე გამოფიტოს სპორტსმენი, ძალა წაართვას ოლიმპიური წლის ყველაზე საჭირო სტარტების წინ. არა მგონია ეს ასე იყოს. გამოცდილი მძლეოსანი მუდამ შეძლებს გონივრულად შეუნაცვლოს ერთმანეთს მიმოქცევის პერიოდები, მთელი სეზონის მანძილზე — გაზაფხულიდან შემოდგომამდე — რამდენჯერმე ავიდეს უმაღლეს მწვერვალზე. წვრთნის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა დაეხმარება მას, რომ საუკეთესო შედეგს სწორედ ოლიმპიურ თამაშებში მიაღწიოს.

ისიც უდავოა, რომ სპორტსმენს, რომელმაც მსოფლიო რეკორდი თამაშებამდე დაამყარა, მეტოქეთა წინაშე გარკვეული წმინდა ფსიქოლოგიური უპირატესობაც ეძლევა. სწორედ ასეთი უპირატესობა აქვს ახლა იანის ლუსისს.

**ა. სრებნიცკი.**



✦

ამ სურათზე თქვენ ხედავთ შესანიშნავ საბჭოთა მძლეოსანს, მსოფლიო რეკორდსმენს იანის ლუსისს, რომელიც საოცრად მაღალი სტაბილური შედეგებით იმარჯვებს ზედიზედ...

რიგელი ათლეტი სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის ის წარმომადგენელია, ვინც ნაღდად ოქრო უნდა მოუხვეჭოს სამშობლოს.

✦

# მეგობრობის მატჩი

**მოსკოვში**, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის სტადიონზე დამთავრდა უსინათლო ახალგაზრდობის IX საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. სტარტზე გამოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და რუსეთის ფედერაციის ნაკრები გუნდები.

პირველად უსინათლო მძლეოსნებმა ძალა სცადეს 1954 წელს, როცა ჩეხოსლოვაკიის ინვალიდების კავშირის თაოსნობით დაუსწრებელი საერთაშორისო შეჯიბრებები გაიმართა. შემდეგში ასეთ ტურნირებს დასწრებულად ატარებდნენ. საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტსმენებს დებიუტი 1957 წელს ჰქონდათ და მას მერე უცვლელად იკავებენ პირველ ადგილს. წარმატებით გამოვიდნენ ისინი წლეულსაც. გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ფედერაციის მძლეოსნებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს ყველა მეტოქეს. მეორე ადგილი დაიკავა რუმინეთის გუნდმა, რომელიც პირველად გამოდიოდა საზღვარგარეთ. მესამე ადგილზე ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები გავიდნენ.

სპორტსმენები მძლეოსნობის 20 სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. სრულიად უსინათლო ვაჟები და ქალები ასპარეზობდნენ მრავალჭიდში (60 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა). უფრო რთული იყო პროგრამა იმ სპორტსმენთათვის, რომელთაც ნარჩენი მხედველობა აქვთ (ვაჟებისთვის — რბენა 100 და 800 მეტრზე, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომა, სამხტომი, შუბის ტყორცნა; ქალთათვის — რბენა 100 და 400 მეტრზე, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა, კრიკეტისა და მარყუჟიანი ბურთების ტყორცნა).

პირველად სტარტი მრავალჭიდელებმა აიღეს. პროგრამის უკვე ორი სახეობის შემდეგ საბჭოთა გუნდის ლიდერები — მოსკოველი ეთერ კახოვასა და ლენინგრადელი ი. ლევიჩევის უპირატესობა აშკარა იყო. მათ დამაჯერებლად ჩაატარეს მრავალჭიდის დასკვნითი სახეობა — სიგრძეზე ხტომა და ჩემპიონის წოდებები მოიპოვეს. კახოვამ მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუმინულ-გერმანული განყოფილება დაამთავრა, ახლა კი ინგლისური ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობს დედაქალაქის ერთ-ერთ სპეციალიზებულ სკოლაში. ლევიჩევმა სამი წლის წინ დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტის მათემატიკურ-მექანიკური ფაკულტეტი და ამჟამად ამ სასწავლებლის გამოთვლითი ცენტრის უმცროსი მეცნიერ-მუშაკია. წლეულს მან ასპირანტურა დაამთავრა და ახლა დისერტაციაზე შრომას ასრულებს.

დამაჯერებლად გამოვიდნენ საბჭოთა მძლეოსნები პროგრამის სხვა სახეობებშიც. სვერდლოვსკელმა ბ. ჩერმოშენცევმა სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა (170 სმ), მოსკოველი ი. ტარაკოვა სიგრძეზე ყველაზე შორს გადახტა (495 სმ), სტავროპოლელმა ოსტატობის კანდიდატმა რ. დიატლოვამ პირველობა იზეიმა კრიკეტისა და მარყუჟიანი ბურთების ტყორცნაში (შესაბამისად 55,26 მ და 49,28 მ). საბჭოთა გუნდის გამარჯვების ქულებში თავისი წვლილი შეიტანა გორკელმა ა. გალკინამ, რომელმაც 100 მ 12,7 წამში გაირბინა. მისმა თანაგუნდელმა ი. სტაროვეროვმა ბირთვის მკვრელთა შეჯიბრება მოიგო — 14,83 მ. 400 მეტრზე რბენაში პირველი იყო ლენინგრადელი თ. ბოიცოვა (1.05,3), 800 მ ყველაზე სწრაფად დაფარა ი. პიროჟკოვმა — 2.09,0.

სტუმრებიდან ყველაზე დიდ წარმატებას რუმინელმა კ. რადუმ მიაღწია. იგი ორჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — 100-მეტრიან მანძილზე გამარჯვებისთვის (11,5) და სამხტომში პირველობისთვის (13,10 მ), სიგრძეზე ხტომაში კი მეორე ადგილი დაიკავა — 610 სმ.

შეჯიბრება უსინათლო სპორტსმენების დიდ ინტერნაციონალურ დღესასწაულად იქცა. სპორტში გამარჯვებულებიც არიან და დამარცხებულებიც, მეგობრობაში — არა. აი, რა თქვა შეჯიბრების მერე ჩეხოსლოვაკიის ინვალიდების კავშირის წარმომადგენელმა რ. ტილმა.

— მინდა აღვნიშნო საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებული კეთილმოსურნეობა. ჩვენ ყველგან ვგრძნობდით ტრადიციულ რუსულ სტუმართმოყვარეობას და მეგობრულ ყურადღებას. შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მისი მთავარი შედეგი სოციალისტური ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაა.

**ლ. ნიკიტინი,**
**შეჯიბრების პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი.**

# მკვლელობა 15 რაუნდში

**უზარმაზარი** დარბაზის სიბნელიდან პროჟექტორების თვალის მომჭრელი სინათლით ამოგლეჯილი რინგის კვადრატი მეხსიერებაში დიდხანს დამრჩება. ბაგირებს იქით ორნი დგანან: დასავლეთგერმანელი, 28 წლის იუპ ელზე, დაბალი, როგორც ანატომიური მაკეტი მუსკულატურის შესასწავლად, და იტალიელი, 32 წლის კარლოს დიურანი, მეტოქეზე ნახევარი თავით მაღალი, ჩავარდნილი გულმკერდით, გაბრტყელებული ხახით. იუპის ზურგს უკან პროფესიული კრივის შვიდი წელიწადია, კარლოსი ათ წელზე მეტია ამერიკისა და ევროპის რინგებზე ხეტიალობს.

სისხლითაა მონიშნული მათი გზა აქ, კიოლნის სპორტდარბაზში. თხუთმეტი რაუნდის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ევროპის ჩემპიონის გვირგვინს მოიპოვებს მეორე საშუალო წონის პროფესიონალთა შორის.

გონგმა ორივე მოკრივე რინგის ცენტრში ისროლა და ბნელით მოცული დარბაზი ყურისწამღები ღმუილით აფეთქა. ელზესთვის ახლო ბრძოლაა ხელსაყრელი. დიურანის სტიქია ნახევარდისტანციაა, — „ჩაყვინთვა", უკან დახევა, რინგზე გადაადგილების სისწრაფე. მაგრამ პროფესიულ რინგს თავისი კანონები აქვს. მაყურებელს არ უყვარს „საფარიკაო" ორთაბრძოლები, სათამაშო კრივს მხეცური უკმაყოფილების ქარიშხლით ხვდება: „ურტყი, ურტყი! მარცხენათი, მარჯვენათი!", და მეტოქის ტექნიკური მოტყუების მაგიერ — მხეცური ცემა იმათი მოთხოვნილებისამებრ, ვინც ფული გადაიხადა და დარბაზში მოვიდა, იმათი საჭიროებისთვის, ვინც მოაწყო ველური სანახაობა, რომ ფული მიიღოს და დარბაზიდან წავიდეს. მესამე რაუნდში დიურანი იატაკზე აგდია. უფრო ინსტინქტი, ვიდრე გონება, ფეხზე აყენებს მას მაგიურ „რვაზე". ელზე ცალკე დარტყმებითა და სერიებით უმასპინძლდება მეტოქეს. დიურანი სასწაულით ძლებს დასვენების შვების მომტან წუთამდე.

მე-6 რაუნდში იტალიელის საპასუხო სერიის შემდეგ დასავლეთგერმანელი მოკრივე ნოკდაუნშია: მსაჯის ხმამაღალი „რვა!" ფეხზე აყენებს. ძალა არ შესწევს ხელთათმანები სახიდან მოიშოროს და დიურანი მასთან ისევე მუშაობს, როგორც „მსხალთან". მსაჯი რინგზე გულგრილია, თუმცა მის თვალწინ მკვლელობა ხდება. მე-8 რაუნდის შემდეგ ელზე უაზროდ ეძებს თავის კუთხეს და ვერ პოულობს. სამი დღის შემდეგ ექიმმა განაცხადა, რომ ეს ნერვული ცენტრების სერიოზული დაზიანების უეჭველი ნიშანი იყო, მაგრამ იმ დღეს რინგის ძირში მსხდომი ექიმები სდუმდნენ.

რაუნდების კალეიდოსკოპი. ორივე მოკრივე სისხლითაა შეღებილი, წარბები პლასტირის საკერებლებითაა დაფარული, სახესა და მკერდზე სისხლი სდის. სამი დღის შემდეგ ერთ-ერთი ექიმი აღიარებს, რომ მე-12 რაუნდისთვის მაინც საჭირო იყო სასწრაფო სამედიცინო ჩარევა და ორთაბრძოლის შეწყვეტა. მაგრამ მაშინ ექიმები სდუმდნენ.

იწყება მე-15 რაუნდი. დიურანი ამ ბრძოლაში ასმეთხმოცეჯერ ურტყამს ელზეს თავში და იუპი ნელა ეშვება იატაკზე. ანგარიშზე „რვა!" კვლავ დგება, სახეს ხელებით იფარავს. მე მომეჩვენა, რომ იგი ტიროდა. ეს მისთვის უკანასკნელი ნაბიჯი იყო მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისთვის გადამწყვეტი ბრძოლისკენ. მაგრამ იგი არ ტიროდა. ელზემ გონება დაკარგა, მთელი რინგი გაიარა და თავის კუთხეში დაენარცხა. ჟანგბადის ნიღაბმა არ უშველა. საკაცე, სანიტარული მანქანა. დიაგნოზი — სისხლის ჩაქცევა ტვინში. რამდენიმე დღის შემდეგ ელზე მოკვდა. სიკვდილის შემდეგ მას დარჩა ვალი — 30 ათასი მარკა. მოკრივის ცოლს, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, არ ძალუძს ამ თანხის გადახდა. ახლა გამოცხადებულია ფულადი შეწირულების შეკრება. პირველად ამას პროფესიონალი სპორტსმენები გამოეხმაურნენ, მაგრამ თანხა ჯერ არ არის შეგროვილი.

დიურანი, რომელმაც 15 რაუნდს გაუძლო, მეთექვსმეტეში ჩავარდა ნოკაუტში სალაროსთან: შემოსავლიდან — 72,772 მარკიდან 41.240 იმავე საღამოს მიიღო ტანასევიჩმა, დიურანის ყოფილმა მენეჯერმა.

საბულვარო „ბილდცაიტუნგმაც" კი აღიარა: „ასე მდიდრდებიან მენეჯერები და ლატაკდებიან მოკრივეები". შეიძლება დამატება: და კვდებიან მოკრივეები.

**რ. კოლჩანოვი.**
**(„ტრუდის" საკ. კორ.).**

ბონი.

როგორც ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი" იუწყება, ი. ელზესა და კ. დიურანის მატჩის წინ ელზეს დოპინგი მიუღია. გაზეთი იმოწმებს სპორტსმენის სიკვდილის მიზეზის გამომკვლევი კომისიის ცნობას. 1945 წლის შემდეგ ეს არის სპორტში დოპინგით სიკვდილის 261-ე შემთხვევა.

# საქართველოს პირველობა

## სსრ კავშირის პირველობა

[illegible]

11 ივლისს მოსკოვში გამართული მატჩით „ლოკომოტივსა" და „პახტაკორს" შორის დაიწყო XVIII ტური. [illegible] „პახტაკორი" — 5:0! [illegible]

„1" კლასი — I ზონა

## ამჯერად შინ...

ზუგდიდელ ფეხბურთელთა არასახარბიელო მდგომარეობა გათამაშების ცხრილში გამოწვეულია იმით, რომ ისინი ცუდად თამაშობენ სტუმრად. 10 ივლისს „ენგურმა" თავის მინდორზე მიიღო ჭიათურის „მაღაროელი" და ამჯერად უკვე შინ დამარცხდა.

აღნიშნულ მატჩში განსაკუთრებით იგრძნობოდა „ენგურის" თავდამსხმელთა უხალისო, პასიური თამაში და, საერთოდ, გუნდმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს არ ავლენდა თავის სრულ შესაძლებლობას, უპასუხისმგებლობას იჩენდა მაშინ, როცა სტუმრებმა ითამაშეს მონდომებით, კოლექტიურად და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს.

შედგა I წრის ბოლო ტურის მატჩები.

● „ლაითური" (მახარაძის რაიონი) — „მშენებელი" (სიღნაღი) 2:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

მასპინძლებს საკმაო ხანს ეპყრათ საერთო უპირატესობა, მაგრამ გოლის გატანა მხოლოდ 36-ე წუთზე შეძლეს (გოგოტიშვილი). შესვენების შემდეგ სიღნაღელებს ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს ისინი. სამაგიეროდ, „ლაითურმა" კიდევ ერთი ბურთი გაიტანა (შუმაკოვი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი)— „ისანი" (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).



„1" კლასი

ზუგდიდელებმა მთელი მატჩის მსვლელობაში სულ 3-4 სახიფათო მომენტი თუ შექმნეს „მაღაროელის" კართან. ბურთის გატანის შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს სახოკიამ, ლავრინენკომ, აბრალავამ.

„მაღაროელი" განსაკუთრებით კარგად თამაშობდა შესვენების შემდეგ. სტუმრების ერთ-ერთი იერიში მე-80 წუთზე დამთავრდა იმით, რომ პავლიჩოვმა საუცხოოდ გამოიყენა სახვაძის გადაცემა და გაიტანა გადამწყვეტი გოლი — 1:0.

ბ. ალშიბაია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.). ზუგდიდი.

სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს „მეტალურგს". იყო მომენტი, როცა მასპინძლები ახლოს იყვნენ წარმატებასთან, მაგრამ ალხაზიშვილმა ვერ გამოიყენა „ისნის" კარში დანიშნული პენალტი.

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა)— „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მატჩის დასაწყისიდან გასული იყო სულ 30 წუთი, „ბახმაროს" კი უკვე სამჯერ მოუხდა თამაშის დაწყება ცენტრიდან და თუმცა შემდგომში ბრძოლამ შედარებით თანაბარი ხასიათი მიიღო, შეხვედრის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო.

● „დურუჯი" (ყვარელი)—„არაგვი" (მცხეთა) 4:1. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

● „სინათლე" (თბილისი)—„აერო" (გალი) 3:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

პირველი გოლი გალელთა კარში გატანილ იქნა მე-3 წუთზე იმნაძის მიერ. ცოტა ხანში შუბითიძემ ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო დევდარიანმა მესამე ბურთი მოათავსა „აეროს" კარში. შესვენების შემდეგ სტუმრებმა მხოლოდ 1 საპასუხო ბურთის გატანა (იოსავა) შეძლეს.

● „კოლხეთი" (ცხაკაია) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:1. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

პირველი ბურთი გაიტანეს გორელებმა (რევაზიშვილი), რასაც მალე მოჰყვა ინჯგიას საპასუხო გოლი — 1:1. შემდგომში ინიციატივა მთლიანად „კოლხეთს" ჰქონდა, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც — 3:1 (ქაჩიბაია, ხუბუნაია).

● „მესხეთი" (ახალციხე) — ასკ (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 3:3. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

სტუდენტი ფეხბურთელები სამჯერ დაწინაურდნენ: ჯერ 1:0, შემდეგ 2:0 და, ბოლოს, 3:1. მიუხედავად ამისა, წულუკიძელებმა შეძლეს ქულის გადარჩენა.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სამცხე" (აწყური) 2:1. მსაჯი ა. ჰკუასელი (თბილისი).

რკინიგზელებს თავიდანვე სრულ დაძაბულობაში ჰყავდათ მეტოქე. 27-ე წუთზე აწყურელთა კარი აიღო დოლიძემ, ხოლო შემდეგ ყურულაშვილმა შორიდან გაიტანა მეორე გოლი. მატჩის დასასრულს სტუმრებმა შეძლეს მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა (გრძელიძე).

● „სპარტაკი" (ბორჯომი) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 4:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

ტაიმი ბორჯომელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1 და ეს უკვე საფუძვლიანი განაცხადი იყო საერთო გამარჯვებაზე. შესვენების შემდეგ „ნარინჯის" კარში კიდევ ერთი ბურთი იქნა გატანილი.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 13 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 21 | 13 | 7 | 1 | 48—13 | 33 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 21 | 10 | 8 | 3 | 42—22 | 28 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 21 | 10 | 8 | 3 | 32—25 | 28 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 19 | 8 | 10 | 1 | 29—17 | 26 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 20 | 8 | 9 | 3 | 26—15 | 25 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 20 | 9 | 7 | 4 | 30—20 | 25 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 21 | 9 | 7 | 5 | 29—22 | 25 |
| „აერო" (გალი) | 21 | 9 | 6 | 6 | 21—22 | 24 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 20 | 7 | 9 | 4 | 28—17 | 23 |
| „სულორი" (ვანი) | 19 | 9 | 4 | 6 | 22—18 | 22 |
| „სინათლე" (თბილისი) | 19 | 8 | 5 | 6 | 24—17 | 21 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 21 | 7 | 5 | 9 | 20—29 | 19 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 20 | 6 | 6 | 8 | 20—28 | 18 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 21 | 6 | 6 | 9 | 21—35 | 18 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 20 | 8 | 1 | 11 | 18—26 | 17 |
| „ლაითური" (მახარაძის რაიონი) | 21 | 5 | 6 | 10 | 18—21 | 16 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 21 | 5 | 6 | 10 | 19—31 | 16 |
| „ისანი" (თბილისი) | 21 | 4 | 7 | 10 | 18—31 | 15 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 20 | 4 | 5 | 11 | 15—29 | 13 |
| „ბარეჯი" (საგარეჯო) | 19 | 3 | 6 | 10 | 19—30 | 12 |
| „სამცხე" (აწყური) | 21 | 1 | 9 | 11 | 17—29 | 11 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 19 | 3 | 5 | 11 | 12—25 | 11 |

#### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

##### I ზონა

„ვაზისუბანი" (გურჯაანი) — „არაგვი" (დუშეთი) 4:0, „აბული" (ახალქალაქი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:1, „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) — „შირაქი" (წითელწყარო) 2:1, „ელმავალმშენი" (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:0, „განთიადი" (კასპი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:2, „ზემო ქართლი" (ხაშური) — „ვარძია" (ასპინძა) 0:0.

ბოგდანოვკის „ფარვანას" გამარჯვება ჩაეთვალა თეთრი წყაროს „გარისთან", ხოლო წალკის „თრიალეთს" — მარნეულის „კოლმეურნესთან".

###### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შრ. რეზერვები" (გარდაბანი) | 14 | 12 | 1 | 1 | 30—7 | 25 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 14 | 10 | 4 | 0 | 29—10 | 24 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 14 | 7 | 3 | 4 | 24—17 | 17 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 14 | 7 | 3 | 4 | 16—15 | 17 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 14 | 7 | 2 | 5 | 26—25 | 16 |
| „ვაზისუბანი" (გურჯაანი) | 13 | 5 | 5 | 3 | 29—23 | 15 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 13 | 7 | 1 | 5 | 17—19 | 15 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 14 | 4 | 6 | 4 | 17—12 | 14 |
| „ელმავალმშენი" (თბილისი) | 14 | 6 | 1 | 7 | 21—23 | 13 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 13 | 4 | 3 | 6 | 14—14 | 11 |
| „გარისი" (თეთრი წყარო) | 14 | 4 | 2 | 8 | 14—26 | 10 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 14 | 3 | 3 | 8 | 18—23 | 9 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 12 | 4 | 1 | 7 | 11—20 | 9 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 14 | 4 | 0 | 10 | 24—29 | 8 |
| „ფარვანა" (ბოგდანოვკა) | 12 | 2 | 4 | 6 | 13—22 | 8 |
| „განთიადი" (კასპი) | 13 | 1 | 3 | 9 | 12—29 | 5 |

##### II ზონა

„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 2:0, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „კოლხეთი" (ხობი) 2:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „იმერეთი" (თერჯოლა) 0:1, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „განახლება" (ადიგენი) 0:1, „განთიადი" (ტყიბული) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:1, „დინამო" (ოჩამჩირე) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0.

###### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 11 | 7 | 2 | 2 | 20—7 | 16 |
| „განთიადი" (აბაშა) | 11 | 6 | 4 | 1 | 14—5 | 16 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 11 | 5 | 5 | 1 | 13—7 | 15 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 11 | 6 | 2 | 3 | 39—10 | 14 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 10 | 5 | 3 | 2 | 12—8 | 13 |
| „დინამო" (ოჩამჩირე) | 11 | 4 | 5 | 2 | 10—8 | 13 |
| „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) | 12 | 3 | 6 | 3 | 15—12 | 12 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 13 | 3 | 6 | 4 | 11—9 | 12 |
| „განახლება" (ადიგენი) | 11 | 3 | 4 | 4 | 12—17 | 10 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 11 | 2 | 6 | 3 | 9—15 | 10 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 13 | 2 | 5 | 6 | 12—22 | 9 |
| „რიწა" (გუდაუთა) | 11 | 2 | 5 | 4 | 11—23 | 9 |
| „კოლხეთმშენი" (ფოთი) | 11 | 2 | 2 | 7 | 9—18 | 6 |
| „განთიადი" (ტყიბული) | 11 | 0 | 2 | 9 | 5—30 | 2 |

შენიშვნა: ტყვარჩელის „მეშახტე" და ჭიათურის „მშენებელი" არ გამოცხადდნენ კალენდარულ თამაშებზე, რისთვისაც მოხსნილი არიან გათამაშებიდან. მათი შედეგები გაუქმებულია.

## სხვა შეხვედრები

მოგვყავს 10 ივლისს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები: „შუქურა" (ქობულეთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „კახეთი" (თელავი) — „ირისთონი" (მოზდოკი) 2:1, „ნარზანი" (კისლოვოდსკი) — „ლენინაგორიცი" (კაფანი) 3:0, „უროჟაი" (კრიმსკი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 1:0, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „არაქსი" (ეჩმიაძინი) 2:0, „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ლორი" (კიროვაკანი) 1:1, „უროჟაი" (დერბენტი) — „უროჟაი" (გროზნო) 1:0, „ტრუდი" (კასპიისკი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

#### რსფსრ-ს IV ზონა

მდგომარეობა 13 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 19 | 10 | 6 | 3 | 32—12 | 26 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 19 | 9 | 8 | 2 | 27—10 | 26 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 19 | 9 | 8 | 2 | 18—12 | 26 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 19 | 8 | 8 | 3 | 26—12 | 24 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 19 | 6 | 10 | 3 | 21—16 | 22 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 19 | 10 | 1 | 8 | 21—18 | 21 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 19 | 7 | 7 | 5 | 19—18 | 21 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 19 | 8 | 4 | 7 | 26—15 | 20 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 19 | 8 | 4 | 7 | 21—15 | 20 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 19 | 8 | 4 | 7 | 27—22 | 20 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 19 | 6 | 7 | 6 | 21—21 | 19 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 19 | 7 | 5 | 7 | 16—20 | 19 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 20 | 6 | 7 | 7 | 22—31 | 19 |
| „დინამო" (სოხუმი) | 19 | 8 | 2 | 9 | 25—21 | 18 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 19 | 5 | 7 | 7 | 11—21 | 17 |
| „ლენინაგორიცი" (კაფანი) | 19 | 7 | 2 | 10 | 19—26 | 16 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 18 | 6 | 3 | 9 | 20—21 | 15 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 18 | 5 | 4 | 9 | 14—23 | 14 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 19 | 3 | 7 | 9 | 9—17 | 13 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 19 | 4 | 4 | 11 | 16—28 | 12 |
| „კახეთი" (თელავი) | 19 | 3 | 4 | 12 | 10—32 | 10 |

## თავი გამოიჩინეს...

ბათუმი (ჩვენი კორ.). ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა ნორჩ ფეხბურთელთა საქალაქო შეჯიბრება „ტყავის ბურთის პრიზზე", რომელშიც 167 გუნდი მონაწილეობდა.

უმცროსი ასაკის ბავშვთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „წითელი ეშმაკუნები" და „მერცხალი" (ორივე — № 11 სახლმმართველობის გუნდი). საინტერესო ბრძოლა მოიგეს „წითელმა ეშმაკუნებმა" — 2:1.

უფროსი ასაკობრივი კატეგორიის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „გაზაფხული" (№ 11 სახლმმართველობა) და „განთიადი" (№ 12 სახლმმართველობა). გამარჯვება წილად ხვდა „გაზაფხულს" (მწვრთნელი ლ. ვერულიძე). ერთადერთი გადამწყვეტი გოლის ავტორი იყო ი. მორჩილაძე.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბათუმის საფეხბურთო სკოლის კოლექტივს (დირექტორი ვ. მეტრეველი). ნორჩთა ასპარეზობისთვის ბევრი გააკეთეს მწვრთნელებმა ვ. კობიძემ, რ. ჯაფარიძემ, რ. ეგიზარიანმა, ნ. შანიძემ და სხვ.

კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი მეკარეებმა ი. ქართველიშვილმა, გ. ჯინჭარაძემ, მცველებმა ვ. საუხომ, გ. გეწაძემ, ვ. ჩხარტიშვილმა, მ. ჯიჯეიშვილმა, ნახევარმცველებმა ი. მორჩილაძემ, ო. გატამოვმა, თავდამსხმელებმა ს. კუტუბიძემ, რ. დავითაძემ, დ. სანიკიძემ, ა. გოგეშვილმა, ე. ჩიჩილეიშვილმა და ვ. კრეატიანინოვმა.

ო. მურვანიძე.

## ფოტოფინიშმა გადაწყვიტა

თბილისის ზღვის მიდამოებში [illegible] გოგონებს შორის გულრიფშელ[illegible] მოიგეს — 25.01,0. მეორე იყო [illegible] (ბ. ცომაია, [illegible]) დუეტი — 26.03,0, მესამე — [illegible] — 26.46,0.

დაყოფილი სტარტით 15 კმ-ზე რბოლაში გოგონებიდან ყველას [illegible] — 23.16,0. II ადგილი [illegible] — 24.26,0, III — [illegible] — 25.02,0.

20 კმ-ზე ჭაბუკთა გუნდური რბოლა თბილისელთა უპირატესობით დამთავრდა — 28.05. გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ ტ. ხულორდავა, ვ. რთველიაშვილი, თ. კობაიძე და გ. ბულბულოვი. [illegible]

ფინიშის ხაზთან ერთდროულად (51,43) სამი სპორტსმენი მივიდა. გამარჯვების ბედი ფოტოფირმა გადაწყვიტა. I ადგილი წილად ხვდა რთველიაშვილს, II — ა. პარშკინს (სოხუმი), III — კობაიძეს.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. სოხუმი, 2. ბათუმი, 3. ქუთაისი.

ო. [illegible].

ფეხბურთი

# კიეველები „ციურიხთან", მოსკოველები კი?

მაშ ასე: 10 ივლისს ჟენევაში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა წილისყრა. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, კიევის „დინამო" ჩემპიონთა თასის პირველ წრეში შეხვდება შვეიცარიის „ციურიხს", რომელმაც 2 კვირის წინათ თავის ქვეყანაში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა. 26 მატჩში „ციურიხმა" 38 ქულა დააგროვა (16 მოგება, 6 ფრე, 4 წაგება, ბურთების შეფარდება — 63:27!). პირველობის საუკეთესო სნაიპერიც „ციურიხის" წარმომადგენელი გახდა. ესაა ეროვნული ნაკრების მოთამაშე კიუნცლი, რომლის ანგარიშზეა 28 გოლი.

მოსკოვის დინამოელები თასების მფლობელთა თასის მეთექვსმეტედფინალში საბერძნეთის თასის გათამაშებაში გამარჯვებულს შეხვდებიან. ამ კვირას იქ ნახევარფინალური მატჩები გაიმართება, ხოლო 21 ივლისს ათენში — ფინალური შეხვედრა. ჯერჯერობით დაუმარცხებელი არიან „ოლიმპიაკოსი", აეკ-ი, „პანათინაიკოსი" და „ეთნიკოსი".

უეფა-მ გადაწყვიტა, რომ პირველი წრის მატჩები ჩატარდეს 18 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე. დადგენილია, აგრეთვე, ფინალური მატჩების ვადები: 1969 წლის 21 მაისს გამოვლინდება თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებული, ხოლო ერთი კვირის შემდეგ — ჩემპიონთა თასის მფლობელი.

აი, როგორ დაწყვილდნენ მეტოქენი ამ შეჯიბრებებში:

## ჩემპიონთა თასი

„ფერენცვაროში" (უნგრეთი) — „სელტიკი" (შოტლანდია),
„მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) — „უოტერფორდი" (ეირე),
„ლევსკი" (ბულგარეთი) — „მილანი" (იტალია),
„კარლ ცაისი" (გდრ) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია),
„ნიურნბერგი" (გფრ) — „აიაქსი" (ჰოლანდია),
აეკ (საბერძნეთი) — „ჟენესი" (ლუქსემბურგი),
„რუსენბორგი" (ნორვეგია) — „რაპიდი" (ავსტრია),
„ციურიხი" (შვეიცარია) — „დინამო" (კიევი),
„სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია) — „მალმე" (შვეცია),
„ფლორიანა" (მალტა) — „რეიპასი" (ფინეთი),
„სტიაუა" (რუმინეთი) — „აკადემიკი" (დანია),
„სენტ-ეტიენი" (საფრანგეთი) — „რუხი" (პოლონეთი),
„მანჩესტერ სიტი" (ინგლისი) — „ფენერბახჩე" (თურქეთი),
„ვალიური" (ისლანდია) — „ბენფიკა" (პორტუგალია),
„ანდერლეხტი" (ბელგია) — „გლენტორანი" (ჩრდ. ირლანდია),
„რეალ-მადრიდი" (ესპანეთი) — „ლიმასოლი" (კვიპროსი).

## თასების მფლობელთა თასი

„ბორდო" (საფრანგეთი) — „სპარტაკი" (ბულგარეთი),
„ვაშაში" (უნგრეთი) — „ლიუნი" (ნორვეგია),
„პარტიზანი" (ალბანეთი) — „ტორინო" (იტალია),
„კრუზეიდერსი" (ჩრდ. ირლანდია) — „კამრატერნა" (შვეცია),
„ალთაი" (თურქეთი) — „გურნიკი" (პოლონეთი),
„დანფერმლაინი" (შოტლანდია) — „ნიქოზია" (კვიპროსი),
„შემროკ როვერსი" (ეირე) — „ფრეია" (დანია),
„გრაცი" (ავსტრია) — ადო (ჰოლანდია),
„შლიემა" (მალტა) — „რიუმელინგენი" (ლუქსემბურგი),
„ლუგანო" (შვეიცარია) — „ბარსელონა" (ესპანეთი),
„ბრიუგე" (ბელგია) — „ვესტ ბრომვიჩი" (ინგლისი),
„დინამო" (რუმინეთი) — „კიოლნი" (გფრ),
„დინამო" (მოსკოვი) — საბერძნეთის თასის მფლობელი,
„უნიონი" (გდრ) — „ბორი" (იუგოსლავია),
„კარდიფ სიტი" (უელსი) — „პორტო" (პორტუგალია),
„სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) — „რეიკიავიკი" (ისლანდია).

## „დინამო" უცხოეთში აგებს

**სტოკჰოლმი, 11 ივლისი.** მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ტურნეს ატარებს შვეციაში, დედაქალაქის სამეფო სტადიონზე დამარცხდა ქალაქის ნაკრებთან — 0:1. შეხვედრის ბედი შესვენებამდე გატანილმა ბურთმა (ი. სვენსონი) გადაწყვიტა.

## „პორტუგეზა" ისევ დამარცხდა

**დონის როსტოვი, 11 ივლისი.** დღეს აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელთა გუნდი და ბრაზილიის „პორტუგეზა" (რიო-დე-ჟანეირო). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

ეს ბრაზილიელთა მეორე მარცხია სსრ კავშირში მათს ახლანდელ ტურნეში.

# გამასხრებული კერპი

ეუსებიო ბარბის ... სტადიონიდან!

**პარიზი, 12 ივლისი.** პორტუგალიელ სპორტის მოყვარულთა კერპი ეუსებიო მიწასთან გაასწორეს ლისაბონელმა მაყურებლებმა. როგორც იუპ-ის სააგენტო იუწყება, ეს მოხდა მაშინ, როცა „ფეხბურთის პრინცი" — მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის გმირი მისთვის უჩვეულო არბიტრის როლში გამოდიოდა.

ამასწინანდელი ოპერაციის შემდეგ მომჯობინებულმა ეუსებიომ თანხმობა განაცხადა ემსაჯა „ბი-ბი-სის" (ლონდონი) და „პარადიანტესის" (ლისაბონის კომიკოსთა თეატრალური დასის გუნდი) ფეხბურთელ ქალთა საჩვენებელ შეხვედრაში. ეს საპასუხო მატჩი იყო. ერთი თვის წინ ლონდონში ინგლისელებმა გაიმარჯვეს გამანადგურებელი ანგარიშით — 8:1. ბუნებრივია, „პარადიანტესის" სპორტსმენებს რევანში სწყუროდათ.

ბოროტი ენები ამტკიცებენ, სტუმრების გუნდში ცნობილი საფეხბურთო კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის" რამდენიმე გადაცმული ვაჟი თამაშობსო. ტრიბუნებზე დაძაბულობა გამეფდა. მაყურებელთა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ ეუსებიო ბრიტანელი ქალიშვილების მხარეს იყო. და აი, მსაჯმა დაუსჯელი დატოვა ნისლიანი ალბიონის მომხიბლავი ფეხბურთელები მაშინ, როცა მაყურებლის აზრით 11-მეტრიანი საჯარიმო იყო საჭირო. გულშემატკივრებმა იფეთქეს. „მძარცველო, ყაჩაღო! გაეთრიე მინდვრიდან!" — ატყდა ყვირილი. ეუსებიომ მართლაც დატოვა მინდორი.

მეორე ტაიმში მსაჯობდა უკვე მეორე ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი — მეკარე კოსტა პერეირა.

მასპინძლებმა მაინც გაიმარჯვეს, — თამაშის დამთავრებამდე თითქმის ალარაფერი უკლდა, როცა პორტუგალიელთა გუნდის მინიატურულმა ნახევარმცველმა ამ მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა.

ეუსებიოს ეს გამარჯვება არ უნახავს: შეურაცხყოფილმა სულ მიატოვა სტადიონი.

## ორჯერ ბორხამ

*მეხიკო, 11 ივლისი. მექსიკის ეროვნულმა გუნდმა აქ დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები — 2:1.*

*ანგარიში შესვენებამდე გახსნა ბორხამ, მაგრამ მალე რიველინიომ წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში ბრწყინვალედ მოთამაშე ბორხამ გაიტანა გამარჯვების გოლი.*



# ამჯერად უსპრინტეროდ

*საბჭოთა ველოსიპედისტებმა კიდევ ერთი ასპარეზობა გამართეს კოპენჰაგენის მახლობლად მდებარე ცნობილ ტრეკზე — „ორდრუპზე". ამჯერად შეჯიბრების პროგრამიდან ამოღებული იყო სპრინტერთა სტარტები. სამაგიეროდ, ველოსიპედისტები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ყველა სახის ჯგუფურ რბოლაში.*

*4 კილომეტრზე გუნდური რბოლა მასპინძლებმა მოიგეს — 4.45,9. საბჭოთა მრბოლელებმა სტარტი ცუდად აიღეს, რის გამოც გამარჯვებულებს მთელი 1,3 წამით ჩამორჩნენ. სამაგიეროდ, გამოთიშვით ჯგუფურ რბოლაში (15 წრეზე) თავი ისახელა ს. მოსკვინმა. II ადგილი წილად ხვდა დანიელ ოლსენს, ხოლო III — მ. კოლიუშევს.*

*მასპინძლების ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტის მ. ფრეის უპირატესობით აღინიშნა ჯგუფური რბოლა 15 წრეზე 15 საშუალედო ფინიშით. მოსკვინმა კიდევ ერთხელ იზეიმა გამარჯვება, როცა 15-წრიანი განდიკაპი მოიგო, 6-წრიან ასპარეზობაში კი უძლიერესი იყო მისი თანაგუნდელი კოლიუშევი. II ადგილი ვ. ბიკოვს ერგო.*

## 3333 თეთრი მტრედი

**მ**ეხიკოს მტრედების მოშენების ამხანაგობამ თავის წევრებს მიმართა თხოვნით ჩააბარონ ოლიმპიურ კომიტეტს რამდენიმე ათასი თეთრი მტრედი დაიგი გასაჭირისგან იხსნან.

განზრახულია ოლიმპიური თამაშების გახსნისას ჰაერში ააფრინონ 10.000 მტრედი 3 ფერისა: წითელი, მწვანე და თეთრი. მწვანედ და წითლად მტრედებს, რასაკვირველია, შეღებავენ, თეთრი მტრედი კი შუა ამერიკაში იშვიათობაა.

3333 თეთრი მტრედის ძებნა გრძელდება.



## დიაცთა რეგბი

**რ**ეგბი „მამაკაცთა სპორტი" აღარ არის! ყოველ შემთხვევაში, ახეა საფრანგეთში, სადაც გოგონები დიდ დაინტერესებას იჩენენ სპორტის ამ სახეობით. ქვეყნის სამხრეთით ჩამოყალიბდა რეგბისტ ქალთა გუნდები, რომლებიც შეჯიბრებებსაც აწყობენ. ეს სურათიც სწორედ ერთ-ერთი ტურნირის დროსაა გადაღებული. ერთმანეთს ხვდებიან „სულ გოგონები" (თეთრ ფორმაში) და „წითელი ეშმაკები".

## არხეინად რომ ეძინა

**ვ**ელეფონის ზარმა უაზნინ ანკეტილი შუაღამისას გააღვიძა.

— ძალიან ვწუხვართ, მაგრამ უნდა გაცნობოთ, რომ თქვენი ქმარი საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა, — გაისმა ყურმილში,

განცვიფრებულმა ქალბატონმა ანკეტილმა გადახედა გვერდით მძინარე ქმარს და გადაიხარხარა, სამძიმარს რომ უსმენდა.

როგორც გამოირკვა, დაღუპული ვიღაცას ჟაკ ანკეტილისთვის მიუმსგავსებია...

სხვათა შორის, ახლახან ანკეტილმა ფერმა იყიდა პონტ-სენტ-პიერში და მსხვილფეხა საქონლის მოშენებითაა გატაცებული.



აჭარის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრი ი. პოლონსკაია ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენია. იგი წარმატებით გამოდის საოლქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

* * *

სურათზე: ი. პოლონსკაია.
ფოტო ი. იუნაევისა.

● *მინსკი, 11 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა კალათბურთელ ჭაბუკთა აქ დამთავრებული საერთაშორისო ტურნირი „ოლიმპიური იმედების" თასზე სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც დღეს გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა იუგოსლავიელები — 66:61 (36:37).*

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04167